

საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა
Society and Cultural Heritage Association
იკომოს საქართველო
Georgian National Committee of the International Council on
Monuments and Sites (ICOMOS Georgia)
საქართველოს ეროვნული ფონდი
The National Trust of Georgia
ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
Georgian National Committee of the Blue Shield
საქართველოში შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაცია
Georgian Incoming Tour Operators Association

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

საქართველოს მთავრობის 2018-2021 წწ. რეგიონული განვითარების პროგრამის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მთავარი გზების გაუმჯობესებას და მათ შორის რუსეთის მიმართულებით ყინვალი-ლარსის საავტომობილო გზის მოდერნიზაციას, ყველაზე რთული, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის განხორციელება დაგეგმილია მრავალი თვალსაზრისით უნიკალურ ხადის ხეობაში.

ეს პატარა ხეობა, წარსულში ისტორიული თემი, არქეოლოგიური და მიწისზედა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლით, მათი ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით და ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონით ხასიათდება, რაც ქვეყნის ცხოვრებაში ამ ადგილის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

მომხიბლავი ბუნებრივი გარემოს, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციული პატარა სოფლების ჰარმონიული მთლიანობა ხადის ხეობას კულტურული ლანდშაფტის თვალსაჩინო ნიმუშად აქცევს, რომელსაც საყოველთაო აღიარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

სპეციალისტების აზრით ხადის ხეობის ტერიტორიაზე შემთხვევით მიკვლეული მასალა ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალს ენეოლითის ხანიდან ადასტურებს. აქ გამოვლენილია ადრე ბრინჯაოს ხანის საყურადღებო ნამოსახლარი. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სხვადასხვა ისტორიულ წყაროში (IX, XIII, XIV, XVIII სს.) დაცულია ცნობები ხადის თემზე, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელ გზებს იცავდა და აკონტროლებდა. აქ არსებული ცოცხალი სოფლები და ათეულობით ნასოფლარი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მიმდინარე აქტიურ ცხოვრებაზე მიუთითებს; დასახლებათა მიდამოებში შემორჩენილია ეკლესიები, კოშკები, ციხე-დარბაზები, მცირე სამლოცველოები, ციხე-სახლები, ასომთავრულ-წარწერიანი ქვები, ქვაჯვარები, ძველი სასაფლაოები, აკლდამები და სხვა.

სიძველეების ასეთ სიმრავლეში IX-XI სს-ების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების ჯგუფი გამოიყოფა, რომელთა შორისაა: ეროვნული მნიშვნელობის ქოროლოს არქიტექტურული კომპლექსი ციხე-დარბაზით, ზურგიანი კოშკით, სამლოცველოთი, აკლდამით და ღვთისმშობლის ეკლესიით, რომელსაც სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურისა და კარნიზზე განთავსებული მშენებლობის ამსახველი შესანიშნავი რელიეფების თვალსაზრისით ანალოგი არა აქვს; ხადაში გავრცელებული საყურადღებო ტიპის – ზურგიანი კოშკის განსაკუთრებით თვალსაჩინო ნიმუში – იუხოს 7-სართულიანი კოშკი; მკაფიოდ გამორჩეული ცეცხლისჯვრის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც არქაული სიმბოლოებით გაფორმებულ, გვიანი მოხატულობის ფრაგმენტებიან ეკლესიასთან ერთად შეიცავს მძლავრ 6-სართულიან კოშკს და სხვა სათავსოებს. ამ პერიოდის ძეგლებს შორისაა ასევე, სიცოცხლის ხის ქანდაკებით დასრულებული, შესანიშნავი ქვის წყობითა და პროპორციით გამორჩეული, ადრეული ხანის მთის ეკლესიის საყურადღებო ნიმუში – ბედონის ყველაწმინდის ეკლესია და ბევრი სხვა.

თბილისიდან 90 კმ-მდე მანძილით დაშორებულ, წლის ყოველ დროს მისაწვდომ ხადის ხეობას უდიდესი საგანმანათლებლო პოტენციალი და ტურისტული მიმზიდველობა (საცხენოსნო, კულტურული, თუ ეკოტურიზმის მიმართულებით) აქვს. დაგეგმილი მაგისტრალის მშენებლობა 9 კმ სიგრძის პატარა ხეობაში გულისხმობს დაუზოგავი, არაპროპორციული სამუშაოების განხორციელებას: 5 გვირაბის, 6 ხიდის, 3 მეორეხარისხოვანი გზის, ტექნიკური შენობების მშენებლობას და სამუშაოების შედეგად დაგროვებული მასალებისა და გვირაბებიდან გამოზიდული მიწის საყრდენების იქვე მოწყობას. პროექტი გულისხმობს ბუნებისა და ადამიანების საცხოვრებელი გარემოს დამაზიანებელ არაერთ უხეშ ქმედებას: გზის მარშრუტი უშუალოდ გადაჭრის ბუნების თვალსაჩინო ძეგლს – ხეობის ჩამკეტ ჟანგისფერ კლდის მასივს, რაც მასთან ერთად გაანადგურებს ზედ დაშენებული ნაეკლესიარის (X-XVს.) ნანგრევს, მის ძირში არსებულ სალოცავ ნიშს და მინერალურ

წყაროს; გზა 50 მეტრის დაშორებით გაივლის დიდი ლოდებით ნაშენ ადრეული ხანის (IV-X სს.) ზურგიან კოშკთან – „თევდორეს ხატთან“; გზა ჩამოჭრის ხეობის დამასრულებელი, მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული დასახლების – წკერეს განაშენიანების ნაპირს, გაურკვეველია გზის მიმართება სოფლის ორ სასაფლაოსთან; ეს მაშინ, როცა საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მოთხოვნის შესაბამისად მაგისტრალი დასახლებულ პუნქტზე არ უნდა გადიოდეს; ამის შემდეგ გზა შევა 9კმ-იან გვირაბში იმ მთის ძირში, რომლის წვერსაც აგვირგვინებს X-XV სს-ების კვირაცხოვლის კომპლექსი და სხვა.

იმ შემთხვევაში, თუ მარშრუტი შეიცვლება, ძეგლების ასეთ სიმრავლეში ის აუცილებლად დაუახლოვდება სხვა ისტორიულ ნაგებობებსა და დასახლებებს, რაც გზის მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის დროს აუცილებლად გამოიწვევს სოფლების, ძეგლების და ბუნებრივი გარემოს დამაზიანებელ შედეგებს (მსგავსი საფრთხეების აღკვეთაზე აღნიშნულია კულტ. მემკვ. კანონში, მუხლი 36).

სრულიად აშკარაა, რომ პროექტი შეუქცევად ზიანს მიაყენებს არა მხოლოდ ძეგლებს, რომლებიც ხანდაზმულობისა და ქვის მშრალი წყობის გამო ისედაც მძიმე მდგომარეობაშია და სერიოზულ მოვლა-პატრონობას საჭიროებს; პროექტის შედეგები გააუარესებს ხეობის ეკოლოგიას, ადგილობრივი თემის საცხოვრებელ გარემოს და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. ამასთანავე, პროექტის განხორციელება სოციალურ, მორალურ, კულტურულ და სხვა მრავალმხრივ ზიანთან ერთად დაკარგვის საფრთხეს შეუქმნის სულიერ ფასეულობებს/იდენტობას - ცოცხალ ტრადიციებს და ადგილობრივ თემში აკუმულირებულ სხვა არამატერიალურ მემკვიდრეობას; დიდი ალბათობით, გამოიწვევს ხადის ხეობის დაცლას მუდმივი მაცხოვრებლებისგან (მოსახლეობას პირდებიან მაგისტრალის პერმანენტული გუგუნის შემარბილებელი ბარიერების აგებას!?), რაც გრძელვადიან პერსპექტივში ასევე უარყოფითად აისახება ხეობის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადო გამოყენებაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხადის ხეობაზე გამავალი მაგისტრალის პროექტის შეთანხმება გაუხმაურებლად, პროფესიულ წრეებში განხილვების გარეშე განხორციელდა: ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია სერიოზული დაგვიანებით, მხოლოდ ადგილობრივი თემის, კულტურისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სპეციალისტთა საპროტესტო აქტივობების შემდგომ – 2020 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა. მან თვალნათლივ დაადასტურა მოლოდინი და სტატუსის მქონე ორ ათეულამდე ძეგლს სხვადასხვა ტიპისა და პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის 155 ნიმუში დაემატა, რამაც უტყუარი გახადა ამ ადგილის გამორჩეულობა (მემკვიდრეობის აღრიცხულ ნიმუშებს შორის არ არის მემორიული ძეგლები - სასაფლოები, რომელსაც

კულტურულ-ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მტკივნეული/სენსიტიური ადგილის მნიშვნელობა აქვს).

როგორც ცნობილია, პროექტი 559 მილიონი აშშ დოლარი საგარეო ვალით ხორციელდება. სათუთაა, რომ ხადის ხეობის შერჩევა ეკონომიკურ გათვლებს განეპირობებინა, რადგან მიწისზედა და არქეოლოგიური ძეგლებით ასეთ დატვირთულ ტერიტორიაზე გზის მშენებლობის განხორციელებას აუცილებლად შეექმნება კანონით გათვალისწინებული სერიოზული დაბრკოლებები, რაც გაზრდის დროისა და ფინანსურ დანაკარგებს. ისიც დასათვლელია გრძელვადიან პერსპექტივში რამდენად მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის ხადის ხეობის მრავალფეროვნების დაცვის გზით მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა და არა მოსახლეობისგან დაცლის, კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებისა და ხეობის გაპარტახებისთვის გაწირვა, რაც პროექტის განხორციელების რეალური შედეგი იქნება.

მთელი რიგი დარღვევები უნდობლობას ბადებს პროექტის მიმართ და აჩენს კითხვას, რამ განაპირობა 40 ალტერნატიული დერეფნიდან ყველა პარამეტრით გამორჩეულ ხადის ხეობაზე შეჩერება!? საგანგებო კვლევების გარეშეც ნათელი უნდა ყოფილიყო რომ არქეოლოგიის, ბუნების, ისტორიისა და ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლების ერთობლიობითა და სიმრავლით გამორჩეულ, მრავალმხრივ ღირსშესანიშნავ ხადის ხეობაში, ასეთი მაღალი კულტურული და ტურისტული პოტენციალის მქონე, ცოცხალი სოფლებით დატვირთულ ტერიტორიაზე პროექტით დაგეგმილი აღნიშნული სამუშაოების განხორციელება სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებდა ადამიანების სასიცოცხლო ბუნებრივ გარემოს და კულტურულ მემკვიდრეობას.

აშკარაა, რომ გზის მარშრუტის ლოკალური ცვლილებები, ან შემარბილებელი ღონისძიებები ხადის ხეობის ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის ჰარმონიულ მთლიანობას ვერ დააზღვევს/ვერ დაიცავს განადგურებისგან, ხადის უნიკალური კულტურული ლანდშაფტის მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცდება და მისთვის საფრთხის შექმნა დაუშვებელია.

აუცილებლად მიგვაჩნია შეჩერდეს ქვეშეთი-კობის დამაკავშირებელი ამჟამად არსებული პროექტი და დაიწყოს ალტერნატიული დერეფნის შესარჩევი სამუშაოები.